

THERMORY®

THERMORY®-ს ფასადის ხაზის პროდუქცია გადის ინტენსიური თერმული მოდიფიკაციის პროცესს, რაც ხეს ხდის უფრო გამძლეს, სტაბილურს გარემო პირობების ზემოქმედებაზე, ხოლო ვიზუალს კი თბილ ოქროსფერ-ყავისფერ იერსახეს სძენს. პროფილების გრძელვადიანი გამოყენებისთვის აუცილებელია მათი ინსტალაციისა და შენახვის სწორი წესების დაცვა.

ქვემოთ მოცემული ინფორმაციული ინსტრუქციები შედგენილია ამჟამად პრაქტიკაში არსებულ საუკეთესო ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით და აუცილებელია ინსტალაცია მოხდეს მათი მიხედვით.



Benchmark by Thermory thermo-radiata pine cladding (C3). Jack's Point Family Home in New Zealand. Designed by Ben Hudson architects. Photo by Sarah Rowlands

Installation Guide

1. დასაწყობება	2
2. ფასადის ინსტალაციის ტიპები	3
2.1 ჰორიზონტალური ინსტალაცია	3
2.2 ვერტიკალური ინსტალაცია	4
2.3 მრავალმხრივი მოპირკეთება, როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური	4
3. საჭირო სუბსტრუქტურის შექმნა და ტენიანობის თავიდან აცილება, დაზიანება	
4. სწორი დამაგრება სტეპლერით, ლურსმნებით, ხრახნებით	

Cladding Boards

5. სამონტაჟო სისტემები ფარული ფიქსაციისთვის	
5.1 PaCS® (Press and Click System)	8
5.2 B1-1 კლიფსი	12
5.3 T-4 და T-6 კლიფსები	12
5.4 Dekora კლიფსი	12
6. კუთხის დიზაინი	13
7. წინასწარ მომზადებული პროფილების ინსტალირება	14
8. ზედაპირის შენახვა/ მოვლა	15



1. დასაწყობება

უმჯობესია ფასადის დაფები (პროფილები) ინახებოდეს შიდა სივრცეში, რათა მზის ულტრაიისფერი (UV) სხივებისგან იყოს დაცული. მოგვსენებათ, მზის სხივების მოქმედებით ბუნებრივი ხე იცვლის ფერს მოვერცხლისფრო-მონაცრისფერო ფერამდე. იმ შემთხვევაში, თუ პროფილების გარეთ შენახვა გინვთ, აუცილებელია რომ ისინი დალაგდეს თანაბრად, იატაკიდან მინიმუმ 150მმ-ით შემალელებულ ადგილას და გარედან შეიფუთოს ნყალგამტარი, შუქგამტარი საფარით. საფარის ბოლოები დაუტოვეთ დაუმაგრებლად, რომ მოხდეს მათი ვენტილაცია და თავიდან ავირიდოთ ტენიანობით გამოწვეული დაზიანება. ინსტალაციამდე დაფები არ დატოვოთ წვიმაში, რადგან შესაძლოა მჭიდროდ შეკრულ შეფუთვაში ვერ მოასწროს ბოლომდე გამოშრობა. საუკეთესო პირობაა, თუ დასაგებად გამზადებულ პროფილებს ინსტალაციამდე რამდენიმე კვირით ადრე შეინახავთ იმ ადგილას სადაც მოხდება მათი დაგება, რადგან ამ პერიოდში ხე ეგუება იქ არსებულ ტენიანობის პირობებს. ამ შემთხვევაშიც, გთხოვთ გამოიყენოთ საფარი რომ არ მოხდეს პროფილების დასველება/ტენიანობით მიღებული დაზიანება. შედეგილი პროდუქტების შენახვისას არ მოაშოროთ მათ შორის არსებული საფარი და არ დაადოთ ერთმანეთს შედეგილი მხარეებით. შეხების ადგილას უნდა ეფინოს ფურცელი/ფოლგა. ფასადის პროფილები, რომლებიც არის შიდა გამოყენებისთვის უნდა ინახებოდეს მშრალ ადგილას ინსტალაციამდე რამდენიმე კვირა



მნიშვნელოვანია

- ტრანსპორტირებისა და ინსტალაციის დროს არ დაისვაროს ქუჩყით ან ცხიმით
- მოუფრთხილდით პროფილებს, მათ ჭრილებსა და ღარებს, ისინი შესაძლოა დაზიანდეს
- შეძენისას გაითვალისწინეთ 10%-იანი ნამატი.
- შეამოწმეთ პროფილები ტრანსპორტირების შემდგომ სანამ დაამონტაჟებთ, ხომ არ დაზიანდა. არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენოთ დაზიანებული დაფები საინსტალაციოდ.




Benchmark Thermory თერმო-ფიქვის ფასადი. New American Home 2020. Photo by Jeffrey A. Davis Photography

2. ფასადის ინსტალაციის ტიპები

2.1 ჰორიზონტალური ინსტალაცია

თერმორის ფასადის პროფილები ჰორიზონტალური ფიქსაციისთვის	C2R4, C6, C7J, C7T, C8D, C9, C11, C23J, C44J, C92, G-C77J, S1, S2-BBME, S2-BBMS, S2-E
---	---

ჰორიზონტალური ფიქსაციის ვარიაციები




პროფილებს დაუტოვეთ 2-3 მმ ზომის სივრცე ჰაერის ცირკულაციისათვის.

დამონტაჟება აუცილებლად დაინყეთ ქვემოდან ზემოთ.

2.2 ვერტიკალური ინსტალაცია

თერმორის ფასადის პროფილები ვერტიკალური ინსტალაციისთვის :	C12, C27, C34, C34-2, CP3, D43, UYS10
--	---------------------------------------

ვერტიკალური ფიქსაციის ვარიანტები



Benchmark Thermory თერმო-კოპიტის ფასადი ფარული ინსტალაცია PaCS-ით

2.3 მრავალმხრივი მოპირკეთება, როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური

გამოყენება მრავალმხრივი მოპირკეთება - როგორც ვერტიკალური, ასევე ჰორიზონტალური მონტაჟი.	C1, C3, C4, C4J, C7, C8, C15, C16, C19, C20, C24, C25, C26, C30, C32, C42, CAR1, CAR3, CAR8, CAR12
--	--


3. საჭირო სუბსტრუქტურის შექმნა და ტენიანობის თავიდან აცილება, დაზიანება

Thermory ფასადის დამონტაჟებისას ყოველთვის გამოიყენეთ უჟანგავი ფოლადის ლურსმნები, საკინძები ან ხრახნები, სამაგრები (კლიფსები).

პროფილები, რომლებსაც აქვთ კბილები (ერთმანეთში ჩამჯდომი ბოლოებით) უნდა დამონტაჟდეს კბილებით ზემოთ. ვერტიკალური ინსტალაციისას, კბილები უნდა იყოს დაყენებული ქარის მიმართულებით.

JEM™ მონტაჟი

Thermory-ს ექსკლუზიურ JEM™ მონტაჟის სახეს არ სჭირდება დაფების ბოლოების დამთხვევა საყრდენზე. მისი ერთმანეთში ჩამჯდომი ბოლოები ამარტივებს ამ პროცესს, შრომას, გვიმცირებს ნარჩენების რაოდენობას და ხარჯებს. აუცილებელია თითოეული პროფილი დამაგრებული იყოს მინიმუმ ორ ჯოხზე.




სუბსტრუქტურის ჯოხები


ლურსმნების, ხრახნებისა და სტეპლერის გამოყენებისას ქვედა ჯოხად შეგიძლიათ გამოიყენოთ თერმო-ნაძვი. ინსტალაციის ქვედა ჯოხები უნდა იყოს დაშორებული არაუმეტეს 600მმ-სა, მათი სისქე კი მინიმუმ 22მმ, რომ უპირველესად შევუქმნათ ხეს ვენტილაციის პირობები.

დაამონტაჟეთ ვერტიკალურ ჯოხებზე ჰორიზონტალური პროფილები ისე, რომ მათი ბოლოები ქვედა ჯოხზე იყოს დამაგრებული. JEM™ შემთხვევაში კი ამის აუცილებლობა არ არის, რადგან დაფების ბოლოები ერთმანეთში უდებია და ასე ინარჩუნებს სიმყარეს.

ვერტიკალური ისე ჰორიზონტალური ინსტალაციის პროცესის წარმართვა. ორივე შემთხვევაში ქვედა ჯოხებს შორის საჭირო

მინიმუმი 600მმ-ია, მათი სისქე 22მმ <, ხოლო დაშორება იატაკიდან (მინიდან) 300მმ.





დაფების გადაბმისას უმჯობესია დატოვოთ დაახლოებით 3მმ ზომის დაშორება უკეთესი ვენტილაციისათვის. (გარდა JEM joint შემთხვევისა, როდესაც პროფილები ერთმანეთს ებმევა/ერთმანეთში ჯდება.) თუ თქვენს გეგმას აპირკეთებთ თერმო ნაძვით, დარწმუნდით რომ დაფის გულმკერდის მხარე არის სახით ქვემოთ. თერმო ფიჭვის შემთხვევაში კი ლამაზი

(მეტად დამუშავებული) მხარე დატოვით ზემოთ. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ დაფების ბოლოებში არსებული ბზარები გამოწვეულია ჰაერის ტენიანობით და ეს ბუნებრივი პროცესია. ორმხრივი პროფილისთვის C4 თერმო ნაძვი, გთხოვთ დარწმუნდეთ რომ დაფის გულმკერდის მხარე არის სახით ქვემოთ.



ტენიანობის თავიდან აცილება:

● აუცილებელია, რომ ფასადის პროფილებსა და მიწას შორის იყოს მინიმუმ 300მმ-იანი დისტანცია და ასევე მნიშვნელოვანია,

რომ არ დავუშვათ მცენარეების/ბალახის ზრდა პროფილები სიახლოვეს და მათი კონტაქტი.

● ქვედა კონსტრუქციისგან დაშორეთ პროფილები მინიმუმ 25მმ-ით, რათა თავიდან აიცილოთ ტენიანობით


გამოწვეული დაზიანება ჰაერის ვერტიკალურად მოძრაობის პროცესში. ვერტიკალური ინსტალაციისას, რომლებსაც აქვთ ქვედა ვერტიკალური ჯოხები, დაამატეთ დამატებითი ვერტიკალური ჯოხები ზედმეტი ჰაერის ნაკადის თავიდან აცილებისთვის

4.სწორი დამაგრება სტეპლერით, ლურსმნებით, ხრახნებით.

თერმო კოპიტის ინსტალაციისას გთხოვთ წინასწარ მოამზადოთ საპილოტე ხვრელები. აღნიშნული ხვრელი უნდა იყოს ხრახნის დიამეტრის ზომის, დაფების რხევისა და ხრახნებზე ზეწოლის თავიდან ასარიდებლად. ზოგიერთი ბრენდის თვით-ჩასვლადი ხრახნი მაგალითად SOLIDA1 არ საჭიროებს წინასწარი ხვრელის მომზადებას. თუმცა აუცილებელია მათი ინსტალაციამდე დატესტვა.

ხრახნით:

● BENCHMARK	ფარული ფიქსაციის პროფილები:	ხილული ფიქსაციის პროფილები:
თერმო-კოპიტი	C25, C54	C4, C7, C12, C20, CAR1, CAR8, CAR12, D4, D43




თერმო ფიჭვის, თერმო ნაძვის, თერმო რადიატა ფიჭვის საფასადე პროფილები შესაძლებელია დაფიქსირდეს თვით-ჩასვლად ხრახნებზე. დარწმუნდით, რომ ბურღის სიმძლავრე დაყენებულია საშუალოზე. ხრახნის თავი უნდა იყოს ხის ზედაპირზე გასწორებული, წინააღმდეგ შემთხვევაში კი თუ ხრახნი, სტეპლერის ტყვია და ლურსმანი ჩავა ხის პროფილის ზედაპირიდან ღრმად, შესაძლოა დაზიანდეს დაფა და ამან გაზარდოს წყლის შეწოვადობის რისკი.

THERMORY-ის საფასადე პროფილების ინსტალაცია ხრახნებით, ლურსმნებით და სტეპლერით



● BENCHMARK	ფარული ფიქსაციის პროფილები:	ხილული ფიქსაციის პროფილები:
თერმო ფიჭვი თერმო ნაძვი თერმო-რადიატა ფიჭვი	C8, C11, C11-S, C15, C25, C26, C27, C30, C34, C34-2, C54	C1, C2-R4, C3, C4, C7, C7-15R1.5, C8, C12, C16, C19, C20, C24, C27, C32, C42, CAR3, CAR8, CAR10, D4, UYS10

შიდა ფასადის პროფილების დასამონტაჟებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ უთავო ლურსმანი, რომელიც ხეში 1მმ-ით იქნება ჩასული. ზოგიერთ პროფილს გააჩნია ჩამჯდომი კბილი, რომელიც მიუთითებს ხრახნის, ლურსმნის, სტეპლერის ტყვიისათვის განკუთვნილ სამონტაჟო ადგილს, რომ დააფიქსიროთ პროფილი უხილავი ფიქსაციით. როდესაც კბილების ადგილზე აპირებთ ბურღით მუშაობას, იმისათვის რომ

თავიდან აირიდოთ ხის გახლეჩვა ან/და დაზიანება დაიცავით კიდეებიდან 20მმ-იანი, ხოლო ბოლოებიდან 40მმ ზომის დისტანცია. ლურსმნის, ხრახნის სიგრძე უნდა იყოს მინიმუმ 2.5-ჯერ მეტი ვიდრე პროფილის სისქე. ჩვენი რეკომენდაციაა, რომ პროფილებზე რომლების სიგანეც აღემატება 140მმ-ს გამოიყენოთ 2 ხრახნი (გვერდებზე).




5. სამონტაჟო სისტემები ფარული ფიქსაციისთვის



კლიფსებით დამაგრებისას აუცილებლად გამოიყენეთ უჟანგავი ფოლადის ხრახნები დაფების თავში და ბოლოში, რომ თავიდან აიცილოთ მათი მოძრაობა.

5.1 PaCS® (სისტემა მარტივი დაპრესვით და ფიქსაციით)



იხილეთ საინსტალაციო ვიდეო

C24 პროფილი:

C15 პროფილი:

C34 პროფილი:


PaCS პროდუქციის ასორტიმენტი აერთიანებს მაღალი ხარისხის თერმო ხის მოდელებს, რომელთა ინსტალაციაც შესაძლებელია Grad სისტემით. ეს პროდუქტი შეიქმნა ფარული და სწრაფი ფიქსაციისათვის. PaCS გამოიყენება პროფილებისთვის, რომლებსაც აქვთ წინასწარ გამზადებული ქარხნული ჭრილები (ღარები) ქვედა მხარეს და იდეალურად ერგება Grad სისტემის სამაგრებსა და ალუმინის რელსს (ასევე წინასწარ Thermory-სგან დამონტაჟებული კლიფსებით). შედეგად, არ შეიძლება ხილული ხრახნიანი თავები დაფებზე და მხოლოდ დაჭერით ჯდება პროფილი თავის ადგილზე.

ყველაზე სწრაფად ინსტალირებადი სისტემა არის PaCS Alu რელსები, წინასწარ მომზადებული კლიფსებით.

იმ შემთხვევაში, თუ გსურთ პროფილებს შორის სივრცეები დატოვოთ, უნდა გამოიყენოთ PaCS Alu Rail Start და PaCS Alu Rail PR56. მათ მოყვებათ ორი ცალი გასაღები, რომელთა საშუალებითაც უმარტივესად შეგიძლიათ შეცვალოთ სამაგრზე მოთავსებული პროფილი. სამაგრების შეცვლა კი დროის ხანგრძლივ პერიოდში არ დაგჭირდებათ.



დაფები მარტივად ჯდება დაპრესვის ადგილას



დაფის მოსახსნელი გასაღები



PACS ჯოხები ქარხნულად დამონტაჟებული კლიფსებით

	<p>PaCS CLAD თერმო ფიქვი, მასზე ქარხნულად დამაგრებული კლიფსებით. კლიფსებს შორის ზომები სხვადასხვაა: 52, 65, 72, 150 და 186 მმ, იმის მიხედვით თუ რამხელა დაშორებაა პროფილზე კლიფებისთვის განკუთვნილ ღარებს შორის. სხვა შემთხვევაში, სხვა ზომებისთვის ხდება ინდივიდუალური შეკვეთის გაგზავნა ბრენდთან.</p>	<p>PaCS CLAD ზომა: 26 x 67 x 2000 მმ</p> <p>დაფის სიმაღლე სუბსტრუქტურიდან: 26 + 5 = 31 მმ</p> <p>PaCS CLAD საჭირო რაოდენობა: 1 ცალი 1 კვადრატულ მეტრზე</p> <p>რაოდენობა თითო პალეტზე: 196</p>
	<p>PaCS Alu Rail Start ზედა მაგალითის მსგავსი სისტემა, რომელსაც ასევე აქვს ქარხნულად დამონტაჟებული კლიფსები სხვადასხვა ზომის 52, 65, 72, 118, 138 და 150 მმ დაფებისთვის, თუმცა ეს სისტემა არის ალუმინის კონსტრუქცია. კლიფსები არის ჩანაცვლებადი და მათი შეცვლა შეიძლება სპეციალური გასაღებით.</p>	<p>PaCS ALU RAIL START ზომა: ALU RAIL START 118 12 x 47 x 1984 მმ ALU RAIL START 150 12 x 47 x 1876 მმ</p> <p>დაფის სიმაღლე სუბსტრუქტურიდან: 12 + 6 = 18მმ</p> <p>PaCS ALU RAIL START საჭირო რაოდენობა: 1 ცალი 1 კვადრატულ მეტრზე</p> <p>რელსი თითო პალეტზე : 216</p>
	<p>PaCS Alu Rail 56 PaCS Alu Rail 56 არი კონსტრუქცია მხოლოდ იმ დაფებისთვის რომელთა სიგანეც არის 118მმ ზომის და აქვთ ქარხნული ქვედა ჭრილები (ღარები) კლიფსები არის ჩანაცვლებადი და მათი შეცვლა შეიძლება გასაღებით.</p>	<p>PaCS ALU RAIL 56 ზომა 56 x 63,6 x 1984 მმ</p> <p>დაფის სიმაღლე სუბსტრუქტურიდან: rail 56 mm + clips 6 = 62 მმ</p> <p>ALU RAIL 56 JOIST საჭირო რაოდენობა: 1 ცალი 1 კვადრატულ მეტრზე</p> <p>რელსი თითო პალეტზე : 108</p>

აირჩიეთ PACS CLAD ან PaCS ALU RAIL პროფილის სიგანის მიხედვით :

საფიქსაციო სისტემა პროდუქტის სახელი			ფასადის პროფილების სიგანე, მმ	პროფილი გრადის ღარებით	წინასწარ დამონტაჟებული Grad-ის ცალკეული კლიფსი, CLAD-ზე ან Alu Rail-ზე	დაფები თითო ჯოხზე	დაფების სიგრძე, მმ
PaCS CLAD	PaCS ALU RAIL START	PaCS ALU RAIL 56	42	C4J	35	35	57
			52	C4J, C7J	35	35	57
CLAD65	Alu Rail Start 65	Alu Rail 56	65	C4J, C7J	28	28	71.4
			134	C4J, C44J	28	14	142.8
			138	G-C7J, G-C77J	28	14	142.8
CLAD65-0	Alu Rail Start 65-0		65	C7J	31	31	64.5
CLAD72	Alu Rail Start 72		72	C7J	25	25	80
	Alu Rail Start 118	Alu Rail 56	118	D45J	32	16	124
CLAD150	Alu Rail Start 150		150	C23J	28 (Alu Rail 26)	14 (Alu Rail 13)	144
CLAD185*			186	C23J	26	13	178

* Pre-mounted Grad clips on plywood. Contact our sales team info@thermory.com for product specifications.

PaCS CLAD და PaCS ALU RAIL ინსტალაცია

1. დაამაგრეთ სისტემები ქვედა კონსტრუქციაზე ან კედელზე, დატოვეთ 600მმ ზომის სივრცეები ქვედა ჯოხებს შორის, რაც უზრუნველყოფს პროფილის ყველა რიგის იდეალურ წყობას.
2. მარტივი ხელის დაჭერით ჩასვით დაფები კლიფსებში !



Benchmark Thermory თერმო-რადიატა ფიჭვის ფასადი C4J, PaCS Alu Rail Start ფიქსაცია



Benchmark Thermory თერმო-ფიჭვის ფასადი C7J, PaCS CLAD ინსტალაცია



Grad-ის toplink-ების დამაშორებელი



უყურეთ ჰორიზონტალური ფასადის ფიქსაციას, PaCS-ით

C7J პროფილი :



C23J პროფილი:



მნიშვნელოვანია: PaCS Alu Rail Start-ისა და PaCS Alu Rail PR56-ის ერთმანეთთან შეერთება შეუძლებელია ერთი რელსის მეორესთან პირდაპირი კონტაქტით, მათი დაკავშირებისთვის გამოიყენეთ Grad-ის toplink ები

ერთი ალუმინის რელსის ბოლოსა და მეორე რელსის დასაწყისს შორის უნდა იყოს იმავე ზომის დაშორება რაც სხვა კლიფსებს შორისაა. ასევე, რელსები უნდა იყვნენ დამაგრებული ქვედა სუბსტრუქტურაზე ხრახნით ყოველ 400მმ-ში. ყოველ ჯერზე დარწმუნდით, რომ კლიფსები ნამდვილად იდეალურად სწორ ხაზშია და დაშორებებიც ტოლია.

ვერტიკალური ინსტალაციისას ალუმინის რელსები ქვედა მხარეს დაამაგრეთ ხრახნით, მყარი ფიქსაციისთვის.

PaCS Strip კლიფსი

ექვსკლიპიანი ზოლი, რომელიც აფიქსირებს სამ დაფას ერთ ჯოხზე. ეს ზოლები ერთმანეთთან უნდა იყვნენ დაკავშირებული უჟანგავი ფოლადის ხრახნებით. აღნიშნული ზოლი ტოვებს 5მმ-იან დაშორებას დაფებს შორის, ხოლო კლიფსის სისქე ქვედა ჯოხიდან ზედა პროფილს 5მმ-ით აშორებს, რათა უზრუნველყოფს საჭირო ვენტილაცია.



1. მას შემდეგ რაც ქვედა კონსტრუქციას შექმნით, კლიფსების ყველა მწკრივი შეუსაბამეთ ჯოხებს.
2. დაამონტაჟეთ 2-3 PaCS strip ყოველ ჯოხზე და შეამოწმეთ მოგცემთ თუ არა ეს საშუალებას რომ მოარგოთ დაფები.
3. დააინსტალირეთ დაფები მარტივად, მხოლოდ მასზე ხელის დაჭერით.

THERMORY-ის პროფილი PACS STRIP კლიფსით ინსტალაციისთვის: D45J, 118 მმ სიგანის

ცალკეული კლიფსის ზომაა: 5 x 63 x 372 მმ

სიმაღლე სუბსტრუქტურიდან: 5 მმ

საჭირო რაოდენობა: 5 ზოლი 1 კვადრატულ მეტრზე (თუკი ქვედა კონსტრუქციის ჯოხებს შორის დაშორება 600 მმ-ა)

რაოდენობა შეფუთვაში: 300ცალი+ 4 x 25 მმ ხრახნები

Grad ინდივიდუალური კლიფსები

გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ ერთლარიან პროფილს იყენებთ, ან მაშინ, როცა დაფებს შორის განსხვავებული ზომის დაშორებების გაკეთება გსურთ. გრადის ერთჯერადი სამაგრებისთვის საჭირო კონტრასფერული ხრახნის ზომა არის 4 x 25 მმ.




შესაფერისია თერმორის ნებისმიერი ქვედა ერთლარიანი პროფილებისთვის: C4J, C5J, C7J, C44J, C23J, G-C7J, G-C77J, D45J

ცალკეული კლიფსის ზომაა: 5 x 17 x 63 მმ


სიმაღლე სუბსტრუქტურიდან: 5 მმ

საჭირო რაოდენობა: 1 გრძივ მეტრზე საჭიროა 2 კლიფსი.

რაოდენობა შეფუთვაში: 900 ცალი




Alu Start 51 მმ C7J 20x52



C4J



C7J




C23J



BENCHMARK თერმო-კოპიტი C23J



BENCHMARK თერმო-ფიჭვი C7J



BENCHMARK თერმო-კოპიტი C4J



BENCHMARK თერმო-რადიატა ფიჭვი C4J

5.2 B1-1სამაგრები


THERMORY-ის ფასადის პროფილები B1-1 ჰკლიფსით ინსტალაციისთვის: C6, C9

უქანგავი ფოლადის სამაგრები B1-1-ით შეგიძლიათ მიიღოთ უხილავი ინსტალაციის სახე. გამოიყენებთ მხოლოდ 4*40მმ ზომის უქანგავი ფოლადის ხრახნებს. რეკომენდირებულია 1 სამაგრზე 2 ხრახნის გამოყენება.



თავად კლიფსები ერთ გრძივ მეტრზე 2 ცალია საჭირო.

რაოდენობა შეფუთვაში: 100 ცალი.




5.3 უქანგავი ფოლადის კლიფსები T-4 და T-6

THERMORY-ის გვერდითა ღარიანი ფასადის პროფილებისთვის T-4, D4 სვ2 პროფილისთვის, რომლის სიგანეც 112 მმ-მდეა T-6, C92 და D4 სვ2 პროფილებისთვის, რომელთა სიგანე 112 მმ-ზე მეტია

შავად დაფარული უქანგავი ფოლადის სამაგრი T-4 ტოვებს 4მმ ზომის სივრცეებს ფასადის პროფილებს შორის, ხოლო T-6 6მმ-ს. ორივე მათგანი ქვედა ჯოხიდან 1.3 მმ-ით აშორებს დაფას. (ხე-ხეზე კონტაქტის თავიდან ასაცილებლად) აუცილებელია წინასწარ გაიბურღოს ქვედა ჯოხი და შემდეგ დამაგრდეს პირველი და ბოლო დაფის გვერდები.დაიცავით დისტანცია კლიფსებს შორის, რომ შექმნათ დამატებითი სივრცე ვენტილაციისათვის. ამ მეთოდის დროსაც გირჩევთ ქვედა ჯოხი დაფართ ულტრასიფერული სხივების მიმართ რეზისტენტული ლენტით, რომ თავიდან აიცილოთ ტენიანობით გამოწვეული დაზიანება..

საჭირო რაოდენობა: 2 კლიფსი 1 გრძივ მეტრზე.

რაოდენობა შეფუთვაში: 500 ცალი+უქანგავი ფოლადის ხრახნი.




5.4 DEKORA სამაგრები

THERMORY-ის ფასადის პროფილები DEKORA სამაგრით ინსტალაციისთვის: C8D

ამ ტიპის სამაგრებს იყენებენ ერთმანეთში ჩამჯდომი ბოლოიანი პროფილისთვის C8D, რაც უზრუნველყოფს მარტივ და სწრაფ ინსტალაციას. ფიქსაციისას ჰაერს საშუალება ეძლევა იმოდროს, რისი მეშვეობითაც თავიდან ავიცილებთ ზედმეტ ტენიანობას და პროფილები იქნება მაქსიმალურად სიცოცხლისუნარიანი.


საჭირო რაოდენობა: 2 კლიფსი 1 გრძივ მეტრზე.

შეფუთვაში არის: 100 ცალი + 4,5*34 მმ ზომის უქანგავი ფოლადის ხრახნები.




6. კუთხის დიზაინი CP3 კუთხის პროფილი

CP3 არის უნივერსალური პროფილი შიდა და გარე გამოყენებისათვის. დაფები, რომლებსაც აქვთ სწორად მოჭრილი დაბოლოებები, რომელიც მარტივად მრგვალდება კუთხეებთან. ეს არის უმარტივესი ვარიანტი კედლიდან კედელზე გადასასვლელად.




კუთხის პროფილი CP3

კუთხის პროფილი: CP3.



გაჭერით პროფილი 45 გრადუსიანი კუთხით



გამოიყენეთ C4 42 x 42 მმ პროფილი.

7. წინასწარ მომზადებული პროფილების ინსტალირება

1. დარწმუნდით, რომ ყველა პროფილი არის ერთი და იგივე ნაკრებიდან (პარტიიდან).
2. დაფის ბოლოები ან ზედაპირი უნდა შეიღებოს ინსტალაციის პროცესში, სხვა შემთხვევაში ტენიანობას შეუძლია შეაღწიოს ხეში და გააჩინოს ბზარები.
3. გადაადგილებისას შედებილ პროფილებს შორის დატოვებთ დამცავი ფოლგა, ინსტალაციის დაწყებამდე დაფები გქონდეთ იმ მდგომარეობაში როგორც ისინი ქარხნულ მდგომარეობაში მიიღეთ.
4. არ შეინახოთ გახსნილი შეფუთვები მტვრიან გარემოში
5. ბრაშირებული პროდუქტების დალაგებისას ბრაშირებული მხარეები ერთმანეთს მიაბჯინეთ, სხვა შემთხვევაში მეორე მხარეს შესაძლოა დარჩეს შესამშენი კვალი. (ნაწიბური)

6. ინსტალაციის პროცესისას გამოიყენეთ საკმარისი განათება, რომ შეამჩნიოთ ნებისმიერი ფერის შეუსაბამობა ან/და დეფექტი.
7. ფერისა და სიპრიალის უმნიშვნელო სხვაობა შესაძლებელია იყოს სხვადასხვა დაფებს შორის, რაც ხე-ტყისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი პროცესია.
8. ყურადღებით დააკვირდით დაფებს და ეცადეთ ერთნაირი ტონის პროფილები ახლოს დააყენოთ, რომ ვიზუალში დიდი კონტრასტი არ შეიმჩნეოდეს.
9. შექმნისას გაითვალისწინეთ 10%-იანი ნამატი/ხარჯი.
10. შეამოწმეთ პროფილები ტრანსპორტირების შემდგომ სანამ დაამონტაჟებთ, ხომ არ დაზიანდა. არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენოთ დაზიანებული დაფები საინსტალაციოდ.



Vivid by Thermory thermo-spruce cladding (D4 / Channelsiding), color Black. Private house in Netherlands. Distribution & Photo by InterFaca

8. ზედაპირის შენახვა/მოვლა.



ბუნებრივი, თერმულად დამუშავებული ხის პროფილები არ საჭიროებენ განსაკუთრებული სახის მოვლას გარდა დასუფთავებისა. აღნიშნული დაფები არის მდგრადი ათწლეულების განმავლობაში მკაცრი ამინდის მიმართაც კი.

მას შემდეგ, რაც ინსტალაციას დაასრულებთ, მნიშვნელოვანია გაასუფთავოთ ზედაპირი ნარჩენებისგან, ხიჭვებისგან და სხვა ისეთი ნარჩენებისგან, რომელთაც შეუძლიათ წარმოქმნან ობის საფრთხე (ტენიანობის მატების საფუძველზე).



იმ შემთხვევაში თუ თქვენი სურვილია ხის თავდაპირველი ფერის შენარჩუნება, უნდა გამოიყენოთ ულტრაიისფერი სხივების მიმართ რეზისტენტული მინერალური ზეთი. ორგანული ზეთების გამოყენება არ არის რეკომენდირებული გარე სივრცეში ან ნესტიან ადგილებში, რადგან ეს ქმნის ხელსაყრელ გარემოს ბიოლოგიური ორგანიზმების კვებით უზრუნველყოფისათვის. როგორცაა მაგალითად ბაქტერიები, ობი და სხვა.

არსებობს რამდენიმე კოლექცია რომელთა მოვლის წესები ოდნავ განსხვავებულია სხვა პროფილებთან შედარებით:

THERMORY VIVID SILVERED – გირჩევთ დატოვოთ ნატურალური იერსახით, არ საჭიროებს დამცავი ზეთის წასმას.

THERMORY VIVID OPAQUE – სტანდარტულად 10-15 წელიწადში ერთხელ საჭიროებს შეღებვას

THERMORY VIVID TRANSLUCENT – მოსალოდნელი მომსახურების ვადაა 7 წელი.

IGNITE BY THERMORY – ნახევრად-გამჭირვალე პროფილის მოსალოდნელი მომსახურების ვადაა 5 წელი, ხოლო შავად შეღებილის 7 წელი.

THERMORY -ის ზეთით დაფარული პროფილები – მოსალოდნელი მომსახურების ვადა 1დან 3წლამდე, გარემო პირობებისა და მზის ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედების მიხედვით.

დასუფთავება



თერმულად დამუშავებული ხე შეგიძლიათ განმინდოთ ხის გამწმენდით და თბილი წყლით. დიდი მოცულობის ქუჩყს და მტვერს უნდა გაუმკლავდეთ მექანიკურად (მაგ: სარეცხი ჯაგრისით). გადასარეცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ ეზოს მილი (მლანგი), რომელსაც აქვს სპრეის ფუნქცია ცხვირთან. პირველ რიგში მოსინჯეთ პატარა მონაკვეთზე, რომ გამორიცხოთ წნევით გამოწვეული დაზიანება.



დატოვე დაუსრულებელი ანაბეჭდი

Thermory არის ლიდერი ბრენდი თერმული მოდიფიკაციის სფეროში. ბრენდი გვთავაზობს მაღალი ხარისხის გრძელვადიანი გამოყენების ფართო ასორტიმენტს. ისინი სრულად წარმოებულია ეკომეგობრული ტექნოლოგიით. ბოლო 2 ათწლეულის განმავლობაში უამრავი პროექტით, კოლაბორაციით არქიტექტორებსა და დიზაინერებთან ერთად წარმოგვიდგება.

ჩვენ ვზრუნავთ გარემოზე და ვეპყრობით ბუნებას ღრმა პატივისცემით.

შესყიდვის პროცესი ეკოლოგიური პასუხისმგებლობით სრულდება და ჩვენ ვიცავთ ხარისხის მაღალ სტანდარტებს.

- გემბანი
- ფასადი
- ინტერიერი
- საუნა

სარეალიზაციოდ წარმოდგენილი ხე-ტყე საგულდაგულოდ არის შემონმებული და აღებულია მდგრადი, მართული ტყეებიდან.



როგორც გამძლე და შესანიშნავი იზოლატორი, ამავედროულად განახლებადი რესურსი ხე ერთ-ერთი საუკეთესო ეკოლოგიურად სუფთა არჩევანია სამშენებლო პროექტებისათვის.

თუ ფიქრობთ, რომ მომავლის რესურსები უნდა დაიცვათ, მაშინ ჩვენ საერთო მისიით ვართ, რადგან გვსურს დავტოვოთ ჰარმონიული და მდგრადი სამყარო.

ნატურალური ხის პროდუქტები გამძლეობითა და სილამაზით ხის ყოველი ბოჭკოდან